ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერია
საკონკურსო კომისია

ბრძანება

N 1
05/01/2018

1-01-4-201801051748

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კომისიის 2017 წლის 6 დეკემბრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის დანიშვნისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 4 დეკემბრის №3170 ბრძანების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანურის რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების უფროსის ფუნქციის შემსრულებლის, ამავე კომისიის წევრის გურანდა გობიანის განცხადების (№43-01 5/01/2018) საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კომისიის 2017 წლის 6 დეკემბრის №1 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი მუხლის ,,ზ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ/ლოლა ხაჭაპურიძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.“

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნდეს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ირაკლი გიორგაძე

კომისიის თავმჯდომარე

მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის 3 ელ-ფოსტა: Irakligiorgadze1982@mail.ru ტელ: 24-17-64 მობ: 595-11-44-53